საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N01-02/222

ქ. ბათუმი 16 სექტემბერი, 2022 წელი

ბსუ-ს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე 2022-2023 სასწავლო წლისათვის მიღების გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე და 47 [2] მუხლების, ბსუ–ს წესდების მე-13 მუხლის, ,,პირის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 5 სექტემბრის № 111/ნ ბრძანების, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „ ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“, „2022–2023 სასწავლო წლისთვის ბსუ-ს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები კონტიგენტის განსაზღვრის შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 08 თებერვლის №06-01/10 დადგენილების, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანის, ასოც. პროფ. ლელა თურმანიძის 2022 წლის 16 სექტემბრის N1093057 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. 2022 - 2023 სასწავლო წლისათვის გამოცხადდეს მიღება საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე (**დანართი 1**).
2. აპლიკანტთა რეგისტრაცია განხორციელდეს **2022 წლის 22 სექტემბრიდან 23 სექტემბრის** ჩათვლით, ბსუ-ს პირველ კორპუსი, მცირე სპორტულ დარბაზში, 10:00 სთ-დან 17:00 საათამდე (მისამართი: რუსთაველის/ნინოშილის ქუჩა 32/35).
3. აპლიკანტმა რეგისტრაციისთვის უნდა წამოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

   ა) განცხადება და ანკეტა (შევსებული **დანართი 2-ის** და **დანართი 3**-ის შესაბამისად);

   ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

   გ) მიმართულების შესაბამისი საგნის გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი, გაცემული შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ (გარდა იმ პირებისა რომლებმაც 2022 წელს ჩააბარეს საგნის გამოცდა);

   დ) ბაკალავრის, მაგისტრის და/ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის (თანდართული დანართით) ნოტარიულად

დამოწმებული ასლი; (2022 წლის კურსდამთავრებულთათვის - ცნობა აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ);

ე) ფოტოსურათი, ზომით 3X4–ზე;

ვ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირებისთვის).

4. **მისაღები გამოცდა ჩატარდეს 2022 წლის 26 სექტემბერს წერითი ფორმით** ბსუ-ს საგამოცდო ცენტრში (ბათუმი, ფიროსმანის ქუჩა №12), გამოცდის დაწყების დრო - 10^{00} სთ, დასრულების ვადა 13^{00} სთ .

4.1. გამოცდის შედეგები გამოცხადდეს 2022 წლის 28 სექტემბერს (აპლიკანტების პირადი ნომრების მითითების გარეშე);

4.2. საპრეტენზიო განცხადებები წარმოდგენილი იქნეს 2022 წლის 29 სექტემბერს, ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურში (კანცელარია);

4.3. საპრეტენზიო განცხადებების განხილვა მოხდეს 2022 წლის 30 სექტემბერს;

4.4. გამოცდის საბოლოო შედეგები გამოქვეყნდეს 2022 წლის 1 ოქტომბერს, ბსუ-ს ვებგვერდზე.

5. შეიქმნას აპლიკანტთა განცხადების/ანკეტის და სხვა დოკუმენტაციის მიმღები კომისია, ასევე საგამოცდო და საპრეტენზიო კომისიები **№4 დანართის** შესაბამისად.

7. წინამდებარე ბრძანებით შექმნილ კომისიებს ეთხოვოს ,,პირის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 5 სექტემბრის № 111/ნ ბრძანების, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესისა" და ამ ბრძანების შესაბამისად თავიანთი უფლებამოსილების განხორციელება.

8. მისაღები გამოცდის საბოლოო შედეგების დაინტერესებულ მხარეთათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის შემდეგ, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის/სასწავლო პროცესის დეპარტამენტის მიერ **შეიქმნას რანჟირების დოკუმენტი**, შესაბამის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობისა და აპლიკანტთა მიერ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრულ გამოცდაში მიღებული ქულის შესაბამისად.

9. ბსუ-ში ჩარიცხვის აქტი გამოიცეს რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება მოპოვებულ პირებთან ხელშეკრულებების გაფორმებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

10. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება მოპოვებულ პირებთან ხელშეკრულებები გაფორმდეს **2022 წლის 3 ოქტომბერს.** ხელშეკრულების გაფორმების ორგანიზება დაევალოს მიმღებ კომისიას (ქ. ბათუმი,

ნინოშვილის/რუსთაველის №32/35, ბსუ-ს პირველი კორპუსი, მცირე სპორტული დარბაზი).

11. ბსუ-ს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ **ბსუ-ს რექტორის ბრძანება გამოიცეს 2022 წლის 04 ოქტომბერს,** შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის მიერ წარმოდგენილი სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე.

12. წინამდებარე ბრძანების აღსრულების მიზნით ბსუ-ს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა/ფაკულტეტის ადმინისტრაციამ უზრუნველყოს:

ა) პროგრამაზე მიღების შესახებ განცხადების ტექსტის მომზადება და გამოცდის ჩატარების ფორმატისა და სხვა დამატებითი ინფორმაციის ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსების ორგანიზება;

ბ) პროგრამაზე ჩარიცხვის ბრძანების **2022 წლის 4 ოქტომბერს** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გაგზავნის კოორდინაცია;

გ) **2022 წლის 7 ოქტომბრის** ჩათვლით პროგრამაზე ჩარიცხული პირების შესახებ ინფორმაციის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ელექტრონულად წარდგენა.

13. დაევალოს საქმისწარმოების სამსახურს ბრძანება განათავსოს სამსახურთან და შესაბამის ფაკულტეტთან არსებულ საინფორმაციო დაფებზე.

14. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს ბრძანება განათავსოს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში ,,კონკურსები", რექტორის ბრძანებებში და ასევე ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ველში).

15. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**

ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 16 სექტემბრის №01-02/222 ბრძანების

დანართი 1.

№	პროგრამის საგნის/მოდულის სახელწოდება საფეხურის მითითებით	ადგილების რაოდენობა თითოეული საგნის/მოდულის მიხედვით	სწავლის საფასური საგნის/მოდულის მიხედვით	დასაფინანსებელ პირთა რაოდენობა
1	ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო და საშუალო საფეხური)	20	2250	20
2	მათემატიკა (საბაზო და საშუალო საფეხური)	8	2250	5
3	ინგლისური ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური)	20	2250	15
4	გერმანული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური)	5	2250	3
5	რუსული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური)	5	2250	2
6	ფიზიკა (საბაზო და საშუალო საფეხური)	5	2250	4
7	ქიმია (საბაზო და საშუალო საფეხური)	5	2250	4
8	გეოგრაფია (საბაზო და საშუალო საფეხური)	5	2250	4
9	ისტორია (საბაზო და საშუალო საფეხური)	10	2250	7
10	სამოქალაქო განათლება (საბაზო და საშუალო საფეხური)	10	2250	6
11	სპორტი	12	2250	6
12	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	5	2250	2
13	ბიოლოგია (საბაზო და საშუალო საფეხური)	5	2250	4
14	ფრანგული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური)	5	2250	3
		120		85

ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 16 სექტემბრის №01-02/2222 ბრძანების
დანართი 2

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
რექტორს, _____
_____

(აპლიკანტის სახელი, გვარი და პირადი ნომერი)

_____

(მისამართი, ტელეფონი, ელ. ფოსტა)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სურვილი მაქვს სწავლა გავაგრძელო საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მოდულზე

_____

(პროგრამის საგნის/მოდულის სახელწოდება საფეხურის
მითითებით)

_____ „_____“ „_____“ 2022 წელი

განმცხადებლის ხელმოწერა

ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 16 სექტემბრის №01-02/222 ბრძანების

დანართი 3.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის

აპლიკანტის ანკეტა

სახელი ----------

გვარი ----------

დაბადების თარიღი ___/____/_____

რიცხვი თვე წელი

პირადი ნომერი_____

ფაქტობრივი მისამართი ----------

რეგისტრაციის მისამართი ----------

სქესი: □ მამრობითი □ მდედრობითი

მობილური/ტელეფონი ----------

ელ-ფოსტა: ----------

ფაკულტეტი ----------

სასურველი საგანმანათლებლო პროგრამა ----------

პროგრამის საგნის/მოდულის სახელწოდება საფეხურის მითითებით ----------

---

საგნის გამოცდა (ჩაბარებული გამოცდების ეროვნულ ცენტრში) ----------

მიღებული განათლება :

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	ფაკულტეტი, საგანმანათლებლო პროგრამა	კვალიფიკაცია	სწავლის პერიოდი

რომელ ენებს ფლობთ?

_____

_____

ამჟამად ხართ თუ არა რომელიმე უმაღლესი/ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი/მასწავლებელი? (დადებითი პასუხის შემთხვევაში, მიუთითეთ შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულება და სტატუსი)

_____

_____

ვადასტურებ მითითებული ინფორმაციისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისწორეს. ჩემთვის ცნობილია მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღებისა და სწავლის პირობები.

_____

(აპლიკანტის ხელმოწერა)

_____

(რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა) *თარიღი*

ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 16 სექტემბრის №01-02/222 ბრძანების

დანართი №4

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა დოკუმენტაციის მიმღები და დისტანციური გამოცდის ორგანიზების კომისია

1. სასწავლო დეპარტამენტის უფროსი - მერაბ დიასამიძე - თავმჯდომარე
2. სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე - გოჩა სურგულაძე
3. სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის სპეციალისტი - ზურაბ პაპუნიძე
4. სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი - ბოჩია ზარანდია
5. სასწავლო პროცესის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი - მარიამ ბოლქვაძე
6. სასწავლო პროცესის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი - ხათუნა გამყრელიძე
7. სასწავლო პროცესის დეპარტამენტის მთავარი წამყვანი სპეციალისტი გვანცა დიასამიძე - მდივანი
8. ნაირა სარჯველაძე -მათემატიკის დეპარტამენტის სპეციალისტი.

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები საგამოცდო კომისია

1. პროფესორი ლელა თავდგირიძე - თავმჯდომარე;
2. ასოცირებული პროფესორი ნატო შეროზია;
3. ასოცირებული პროფესორი ნანა მაკარაძე;
4. ასოცირებული პროფესორი ქეთევან შოთაძე;
5. ასოცირებული პროფესორი ნათელა ფარტენაძე;
6. ასოცირებული პროფესორი მარინე გურგენიძე;
7. ასოცირებული პროფესორი ნანი მამულაძე;
8. ასისტენტ-პროფესორი დიანა ახვლედიანი - მდივანი.

საპრეტენზიო კომისია

1. პროფესორი ლელა თურმანიძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. ასოცირებული პროფესორი მადონა მიქელაძე;
3. ასოცირებული პროფესორი ნელი ახვლედიანი - მდივანი;